განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მუზეუმმცოდნეობა

სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

შეფასების თარიღი

21 - 22 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი

28 აპრილი

თბილისი

2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მუზეუმმცოდნეობა/ Museology
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა;
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პროგრამის აკრედიტაციის თარიღი და ნომერი: 09.08.2012 - N 333 2021 წლის 31 დეკემბერი;

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	1. ნინო სანადირაძე - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	2. ნინო ქიმერიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 3. სალომე ცისკარიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 4. ქეთევან ოჩხიკიძე - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მდებარეობს ქ.თბილისში, 0108, მისამართზე: ალ. გრიბოედოვის N22 და საქართველოს უახლესი ისტორიისა და კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტია, სადაც მიმდინარეობს კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების კვლევა. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე მოქმედებს მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ცოდნა მუზეუმმცოდნეობის სპეციალობით და ჩამოაყალიბოს ისინი მუზეოლოგიის თანამედროვე თეორიების, მეთოდებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე, ფართო ერუდიციის კვალიფიციურ სპეციალისტებად, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საქართველოს მუზეუმების განვითარებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციის, მართვის უნარის გამომუშავებისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე მუზეუმის ფილოსოფიის სპეციფიკურ თავისებურებათა კვლევა, ანალიზი და სწავლება დარგობრივი და მომიჯნავე დისციპლინების (თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების ისტორია, კულტუროლოგიის საფუძვლები და სხვ.) კვლევის მეთოდების მეშვეობით, რაც აუცილებელია საქართველოს მუზეუმებში არსებული პრობლემების ქმედითად გადაჭრისა და მათი ინტეგრაციისათვის თანამედროვე მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის კულტურულ და სოციალურ განვითარებას. პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 9 აგვისტოს, გადაწყვეტილებით N333. მიუხედავად, იმისა რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს, პროგრამაზე პირველი მიღება მოხდა 2016 - 2017 წელს. პროგრამის აკრედიტაციის ვადა დასრულდა 2021 წლის დეკემბერში.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.02.2022 წლის ბრძანების MES 0 22 0000146244 თანახმად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: ნინო სანადირაძე (თავმჯდომარე), სალომე ცისკარიშვილი (წევრი), ნინო ქიმერიძე (წევრი), ქეთევან ოჩხიკიძე (წევრი) დაევალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ცენტრში 2021 წლის 1 დეკემბრის № 16/1514 წერილით წარმოდგენილი „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია შეაფასოს.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ახალი კორონავირუსის COVID 19-ით გამოწვეული მიმდინარე პანდემია გარკვეულ შეზღუდვებსა და რეგულაციებს აკანონებს. მოცემული შეფასების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 29-ე მუხლი, პუნქტი 9 შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესი შედგებოდა ორი დღისგან. 21 თებერვლის დღის წერიგის თანახმად მიგნებების გაზიარება და სამუშაო-საკონსულტაციო შეხვედრები ექსპერტებს შორის დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით. 22 თებერვალს კი დაწესებულებაში შედგა ვიზიტი მატერიალურ - ტენიკური ბაზის გასაცნობად და სხვა შედეგების შესასწავლად.

შეფასებისას, რეგულაციის თანახმად, ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშზე. ვინაიდან, აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამას, ვალდებულია ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში, აღნიშნული შეფასების მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობა (აკრედიტაციის განახლებული დებულება, მუხლი 29).

შეფასება მოიცავს ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს, ასახავს პროგრამის აკრედიტაციიდან დღემდე მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შეფასებას, ასევე ამ პერიოდში ზოგად პროგრესს და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს.

სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ -ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რესტავრაცია/ხელოვნების ისტორია ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა გადაწყვეტილებით და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდართან, რამდენადაც კომპონენტი 1.1 შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო კომპონენტი 1.2 ასევე შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი;
მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 2.1 შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისი, კომპონენტები 2.2. 2.3, 2.4, 2.5 ასევე შეფასდა მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო 2.6 კი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.
მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რამდენადაც ორივე კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.
მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2 და 4.3 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, 4.4 შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტებთან.
მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტთან, რადგან სამივე კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

რეკომენდაციები

1.1

რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკორექტირდეს სამაგისტრო პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან.

1.2

რეკომენდებულია მომზადდეს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკები;
რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე.
რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს მაგისტრანტებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის;
რეკომენდებულია, საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას გათვალისწინებული იყოს აკადემიური წერის სტანდარტი და გამოყენებული ბიბლიოგრაფიისა და წყაროების აკადემიურობა;

2.1

რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ გაიწეროს ან დაკონკრეტდეს გამოცდის პირობები და მოთხოვნები აპლიკანტების მიმართ.
რეკომენდებულია შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სპეციალობის საკვლევი ჩარჩო;
რეკომენდებულია მომზადდეს სპეციალობის გამოცდისთვის აუცილებელი ლიტერატურის სია.

2.2

რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში.
რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპეტენციების განვითარებას თანამედროვე მუზეუმის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

2.3

რეკომენდებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები ეფუძნებოდეს დარგის უახლოეს საკვანძო მიღწევებს.
რეკომენდებულია დარედაქტირდეს სასწავლო კურსებისათვის „ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში“, „მუზეუმების დაგეგმარება, არქიტექტურა და სამუზეუმო ტექნიკები“, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ „გიდის ხელოვნება“ და „ სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია“ შინაარსის ნაწილი თემატური გადაფარვების აღმოსაფხვრლად.
რეკომენდებულია სასწავლო კურსები „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ შეიცვალოს და ინტეგრირდეს „კულტურული მემკვიდრეობის მართვის“ სასწავლო კურსად.
რეკომენდებულია დარედაქტირდეს/გადაიხედოს არჩევითი კურსების სია, კურიკულუმის დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერების მიზნით.

2.4

რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პრაქტიკის სილაბუსთან და აისახება პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებში.
რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;

2.5

რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება და სწავლის მეთოდების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა სასწავლო კურსის შინაარსთან და მიზნებთან.
რეკომენდებულია თითოეული სილაბუსის სასწავლო კომპონენტში ასახული იყოს კონკრეტული სალექციო დღის სწავლის მეთოდიკა (სემინარი, ჯგუფური მუშაობა, დავალება, დისკუსია და აშ - თემატიკის განსაზღვრით).

2.6

რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო მოქნილი მექანიზმი და მიზანშეწონილია, საჩივრების/აპელაციების ადმინისტრირებაზე და განსაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. რეკომენდებულია,

შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;

3.1

პროგრამისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, უცხოელი პარტნიორების მოძიება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა;
რეკომენდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის ამაღლება;
რეკომენდებულია გაიზარდოს პრაქტიკის განმახორციელებლი დაწსებულებების რიცხვი და არ განხილებოდეს მხოლოდ ერთი ტიპის მუზეუმების პრაქტიკაში ჩართულობა.
რეკომენდებულია შეჯერდეს სტუდენტების პრაქტიკის ნაწილის პროგრამის მიზენებთან და მოსალოდნელ შედეგებთან.

3.2

სასურველია დაწესებულებამ შექმნას შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას არჩევანის თავისუფლება.

4.1

რეკომენდებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა

4.2

რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს პროგრამის არსებითი კონცეფცია უშუალოდ პროგრამის განმახორცილებელების მიერ, სადაც გათვალისწინებული იქნება დარგში უახლესი მიღწევები, რასაც წინ უნდა უსწრებდეს უსდს მხრიდან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა.

4.3

საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს ახალი, დარგობრივი ლიტერატურითა და სამეცნიერო გამოცემებით, როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე.

4.4

რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც თვალსაჩინოს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის შესაძლებლობას და სამეცნიერო ნაწილის ხელშეწყობის კომპონენტებს.
რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი პრაქტიკული ნაწილისა და მუზეუმებში პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში;

5.1

აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;
გადაიხედოს და შეივსოს ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, რათა საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის პორთფოლიოების მომზადება მოხდეს აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად;

მომზადდეს ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ დარგობრივი პოზიციების სხვადასხვა მიმართულებით ათვისების მიზნით.

5.2

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტირება, პროგრამის მონაწილე და მისი განხორციელებით დაინტერესებულ პირთა ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;

5.3

რეკომენდებულია შემუშავდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია და გაწერილი პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანმიმართულად განვითარების მიზნით.

რჩევები

1.2

სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

მიზანშეწონილია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის ქმედითი განხორციელება.

2.1

სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს, რომ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ იქნას ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, ან დოკუმენტურად დადასტურებული პრაქტიკული გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ნათლად გამოხატავს მზაობას პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

საგამოცდოდ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო გამოცდის რეფერატს უნდა ახლდეს, პროგრამის ხელმძღვანელის ან ჩართული აკადემიური პერსონალის რეკომენდაცია.

2.2

სასურველია სტუდენტს საშუალებას მიეცეს აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი საკვლევი ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი სასწავლო კურსი და პროგრამას დაემატოს თავისუფალი კრედიტის კომპონენტი.

სასურველია პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით ძირითად საგნების მოდულს დაემატოს კულტურის სფეროს მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის საგნები.

2.3

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის ძირითადი სპეციალობის მოდულს დაემატოს საგანი „საკურატორო საქმე“.

სასურველია სასწავლო კურსები “ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში” „სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია” და „სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი“ გაერთიანდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად.

სასურველია სასწავლო კურსები „საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები და სამუზეუმო ფასეულობების აღრიცხვა-დაცვა“ გაერთიანდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად.

სასურველია სასწავლო კურსები „საგანმანათლებლო პროგრამები და საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და „სამუზეუმო მარკეტინგი“ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად, შემდეგი სახელწოდებით - „მუზეუმის კომუნიკაცია და მარკეტინგი“.

2.6

სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

3.1

მიზანშეწონლია, დაიგეგმოს და გატარდეს ღონისძიებები სტუდენტური აქტივობების გაუმჯობესების მიზნით;

4.1

სასურველია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;

4.2

სასურველია დაწესებულებამ გამოიკვლიოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებანი პროფესიული განვითარების კუთხით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

4.3

სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს უახლეს დარგობრივ და პროფესიულ გამოცემებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაძლიერება.

4.4

სასურველია, სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა პროგრამის განვითარების მიზნით.

5.1

სასურველია შიდა ხარისხის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევისათვის შემუშავებული კითხვარების შედეგების ანალიზი წარმოდგენილი იყოს ანგარიშის დოკუმენტში ან დანართის სახით;

სასურველია ბაზრის კვლევის ანალიზი მომზადდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამისათვის ბაზრის მოთხოვნებისა და დასაქმების სტატისტიკის მონაცემების გათვალისწინებით;

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე

2022 წლის 4 აპრილის No347944 განცხადებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით (დაწესებულების წერილის ცენტრში რეგისტრაციის - No396124, 15/04/2022, ბრძანება No146244, 14/02/2022).

ექსპერტთა კორპუსმა მიიღო დაწესებულების არგუმენტირებული წერილი, გაეცნო და განიხილა. მოცემულ წერილში, დარგის ექსპერტთათვის არ აღმოჩნდა არანაირი დამატებითი მტკიცებულება და არგუმენტი, რომელიც გარკვეულწილად ზეგავლენას მოახდენდა მათ საბოლოო პოზიციაზე აკრედიტაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიმართ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს თვადაპირველ პოზიციას და არ ცვლის რეკომენდაციებებისა და რჩევების პირველად წარმოდგენილ ვერსიას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პრგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - თსსა) მუზეუმმცონდეობის სამაგისტრო პროგრამას, წარმოდგენლი დოკუმენტაციის მიხედვით, რამდენიმე მიზანი გააჩნია, მათ შორისაა, „კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ცოდნა მუზეუმმცოდნეობის სპეციალობით და ჩამოაყალიბოს ისინი მუზეოლოგიის თანამედროვე თეორიების, მეთოდებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე, ფართო ერუდიციის კვალიფიციურ სპეციალისტებად, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საქართველოს მუზეუმების განვითარებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციის, მართვის უნარის გამომუშავებისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით.“ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის მიზნები „ავითარებს მუზეუმთმცოდნეობის მიმართულებაში პრობლემური კვლევის, ანალიზისა და სწავლების თემატიკას“, თუმცა აღსანიშნავია, რომ მუზეუმმცოდნეობა არ არის მხოლოდ დაკვირვება, კვლევა და ანალიზი, გასათვალისწინებულია რომ მუზეუმმცოდნეობა ასევე მოიცავს, მართვის. მარკეტინგის და და საზოგადოებასთან ურთიერთობისა საკითხებს, თსსა-ს მისია ნაწილობრივ უკავშირდება პროგრამის მიზანს (მისიაში ხაზგასმულია: „საზოგადოებაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება, სახელოვნებო/შემოქმედებითი და სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების განვითარება სახვითი ხელოვნების, დიზაინის, მედიახელოვნების, არქიტექტურის, რესტავრაცია/კონსერვაციისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგებში). მიზნების ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებულია უსდ-ს მისია, თუმცა მისი დაკავშირება დარგის სპეციფიკასთან გაჭირდა, იმდენად რამდენადაც, პროგრამის მიზნებში სრულყოფილად არ ჩანს დარგის სპეციფიკა (მართვა, დაგეგმვა, კოორდინირება, მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა). მსჯელობიდან გამომდინარე, პროგრამის დასრულების შემდგომ კურსადმათვრებულებს შესაძლებელია არ ჰქონდეს დასაქმების სფეროების შესაბამისი კომპეტენციები. გარდა ამისა, შემდგომ საფეხურზე კვლევის გაგრძელებისათვის არასრული დარგობრივი კომპეტენციების საფუძველზე დოქტორანტს გაუჭირდება სრულყოფილი კვლევის ჩატარება და ახალი ცოდნის შექმნა საკუთარი კვლევებით. აკრედიტაციის პროცესში მოწვეულ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ პროგრამით დაინტერესებული პირებისა და აკადემიური პერსონალისათვის პროგრამის მიზნები კომპლექსურად არ არის გააზრებული. წარმოდგენილი პროგრამა, აკრედიტაციის შემდგომ განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე

შესაბამის ველში და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ❖ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკორექტირდეს სამაგისტრო პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზიდოკუმენტების გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგები უნდა, განზოგადდეს და გამსხვილდეს და ჩამოყალიბდეს აკრედიტაციის ახალი სტანდარტის შესაბამისად. აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების რაციონალიზაცია და შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიზნებთან. წარმოდგენილი შედეგების რაოდენობა პროგრამაში მოითხოვს კლასიფიცირებას და მათ გადატანას შედეგების რუკის ფორმატში, რაც საშუალებას მისცემდა პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირის ნათლად დანახვის. შედეგების კორექციის შემდგომ ასევე რეალისტურად იქნებოდა შესაძლებელი სამიზნე ნიშნულების გაწერა, რაც ხელს შეუწყობდა საგანამანთლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას. ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გამოთხოვილი იქნა მიზნებისა და შედეგების რუკები, რაც დაწესებულებამ განახორციელა, თუმცა ნიშანდობლივია, ის ფაქტი, რომ მოწოდებული დოკუმენტები არ იყო სრულად წარმოდგენილი და არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა სრული წარმოდგენის შექმნა

პროგრამით გაწერილ შედეგებზე. გარდა ამისა, წარმოდგენილი სილაბუსების აღწერილობისა და შინაარსის შედეგების მიხედვით, სავალდებულო კურსები ემსახურება ცოდნის, აღქმისა და უნარების გაზრდა/გაუმჯობესებას. მიზანშეწონილია, არსებობდეს მკაფიო კავშირების უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგებსა და კონკრეტული კურსების სწავლის შედეგებს შორის. შესაბამისად, უმჯობესია, რომ სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები ერთმანეთთან და ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში თანმიმდევრული იყოს. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს უნარებს, რომლებსაც პროგრამა ავითარებს, რათა მოამზადოს მაგისტრანტები თავიანთი აკადემიური კარიერისა და დამსაქმებელთა საჭიროებისათვის. ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით რთულია დაზუსტდეს დამსაქმებლის მონაწილეობისა და ჩართულობის წილი პროგრამაში, თუმცა, ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზში დამსაქმებელი ფიგურირებს, მაგრამ არ ჩანს მათი წილი რეკომენდაციების ნაწილში. დასაქმების ბაზარზე სამაგისტრო პროგრამის ორიენტულობის გასაზრდელად უნდა ხდებოდეს დამსაქმებელთა რეგულარული გამოკითხვა, და ამ გამოკითხვებით, დგინდებოდეს თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა. ინტერვიურიებისას ცხადი იყო, რომ დამსაქმებლები მხარდაჭერას უცხადებენ პროგრამას და გამოთქვამენ მზაობას მონაწილეობა მიიღონ, იმისთვის, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული. პროგრამას 2017 – 2021 წლების მანძილზე 11 კურსდამთავრებული ყავს. პროგრამის დასრულებს ხორციელდება სამაგისტრი ნაშრომით, რომლის მომზადების კრიტერიუმები და შეფასების წესი ხელმისაწვდომია და დამტკიცებულია შესაბამისი წესით. უნდა აღინიშნოის, რომ 11-ივე კურსდამთავრებულის სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობდა პროგრამის პირველი ხელმძღვანელი. პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისობისთვის, მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომები მომზადდეს მაღალი აკადემიური სტანდარტით და სასწავლო დაწესებულებას ჰქონდეს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი, ნაშრომების ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა და ნაშრომების შემოწმების ვალდებულება სამაგისტრო დაცვამდე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ პროგრამის აღწერა; ❖ კურსების აღწერა; ❖ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს 2010 წლის 4 ივნისის სხდომის მიერ, ოქმი # 006; ❖ პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაკეთებული პროგრამის ანგარიში ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმები); ❖ კურსდამთვრებულთა სამაგისტრო ნაშრომები; ❖ დამსაქმებლის ანკეტები (ანკეტები).
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია მომზადდეს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკები; ❖ რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი

მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე. ❖ რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს მაგისტრანტებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის; ❖ რეკომენდებულია, საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას გათვალისწინებული იყოს აკადემიური წერის სტანდარტი და გამოყენებული ბიბლიოგრაფიისა და წყაროების აკადემიურობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ❖ მიზანშეწონილია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის ქმედითი განხორციელება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
მუზეუმმცოდნეობის პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ერთიანი სამაგისტრო ეროვნული გამოცდის ჩაბარება, გამოცდის ჩაბარება ინგლისურში და გამოცდა (რეფერატი, პრეზენტაცია) მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამოცდის დროს კონკურსანტს მოეთხოვება: ❖ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგინოს სამუზეუმო საქმის ის სფერო, რომელშიც ის აპირებს მუშაობას. მან უნდა წარადგინოს სამომავლო კვლევის ძირითადი პრობლემატიკა, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზები და სავარაუდო კვლევის მეთოდები; ❖ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე გააკეთოს თემის ზეპირი პრეზენტაცია (საილუსტრაციო მასალითურთ, მაქსიმუმ 20 წთ.); ❖ საბჭოს წარუდგინოს რეფერატი საკვლევ საკითხზე, არა ნაკლებ 15 გვერდისა (Sylfaen- 11/12). ❖ ყველა სხვა შემთხვევაში, პირი ვალდებულია ჩააბაროს აკადემიის მიერ ორგანიზებული გამოცდა უცხო ენაში; ვინაიდან, პროგრამით გათვალისწინებულია სამუზეუმო მიმართულების სპეციალისტის მომზადება და დაშვების წინაპირობაც თავისუფალია და განსაზღვრულია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების წესი და შემდგომ გამოცდა, სპეციალობაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბუნდოვანია, რას გულისხმობს სპეციალობის გამოცდის მომზადებისა და საკვლევი თემატიკის კრიტერიუმები. პროგრამის თანდართულ დოკუმენტაციაში გაწერილია პროგრამაზე მისაღები სპეციალობის გამოცდის ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სისტემა: რეფერატი - 70 ქულა, პრეზენტაცია - 30 ქულა. არც წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში და არც თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი სპეციალობის მისაღები გამოცდისა და სარეფერტო ნაშრომის თემატიკა და გამოცდის მოსამზადებლად სავალდებული ლიტერატურის ჩამონთავალი და შეფასების კრიტერიუმები. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია, როგორც აპლიკანტებისათვის, ასევე, სხვა დაინტერესებული პირებისათვის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით - www.art.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაზე მიღების წინაპირობები; ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ უნივერსიტეტის ვებგვერდი; ❖ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ❖ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ გაიწეროს ან დაკონკრეტდეს გამოცდის

პირობები და მოთხოვნები აპლიკანტების მიმართ. ❖ რეკომენდებულია შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სპეციალობის საკვლევი ჩარჩო; მომზადდეს სპეციალობის გამოცდისთვის აუცილებელი ლიტერატურის სია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს, რომ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ იქნას ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, ან დოკუმენტურად დადასტურებული პრაქტიკული გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ნათლად გამოხატავს მზაობას პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. ❖ საგამოცდოდ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო გამოცდის რეფერატს უნდა ახლდეს, პროგრამის ხელმძღვანელის ან ჩართული აკადემიური პერსონალის რეკომენდაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თსსა მუზეუმმმცოდნეობის პროგრამა, თავისი შინაარსით ძალიან სპეციფიურია და ორიენტირებულია არა სამუზეუმო საქმის ცოდნისა და უნარების შესწავლა-გამომუშავებაზე, არამედ, წარმოდგენილია სახელოვნებო საგნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა - ინტერპრეტაციის მიმართულებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამის შინაარსი არ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. თუკი აპლიკანტის განათლება არ არის ახლოს კულტურის ისტორიასთან ან ხელოვნებათმცოდნეობასთან, რთული იქნება განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. საგანმანათლებლო პროგრამასა და უმაღლესი განათლების სისტემის მეორე საფეხურზე გათვალისწინებული მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კურსების შინაარსით, მოცულობითა და სწავლის მეთოდებით. წარდგენილი პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, აქედან 20 ECTS კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო საგნებს, 35 კრედიტი ძირითად საგნებს, 25 ECTS

არჩევითი საგნებს, 5ECTS საკურსო ნაშრომს 30 ECTS სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამა დატვირთულია უფრო მეტი აკადემიური და საფაკალუტეტო კომპონენტებით, სწავლების პირველ სემესტრებში. გარდა სავალდებულო კურსებისა და სემინარებისა, არსებული არჩევითი კურსების ბლოკი სტუდენტს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას შეადგინოს საკუთარი ინდივიდუალური გეგმა.

პროგრამით წარმოდგენილ ძირითადი საგნები (სპეციალობის მოდული), რომელიც შედგება რვა ძირითადი საგნისაგან: სამუზეუმო საქმის ისტორია და პრაქტიკა - 5 ECTS სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი - 5 ECTS საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები - 5 ECTS სამუზეუმო მარკეტინგი - 5 ECTS გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში - 5 ECTS საგანმანათლებლო პროგრამები და საზოგადოებასთან ურთიერთობა - 5 ECTS სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი - 5 ECTS სამუზეუმო პრაქტიკა - 5 ECTS საკურსო ნაშრომი - 5 ECTS. დარგის ექპსერტების მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი ცალკეული სასწავლო კურსები დადარდა მათი მიზნების და შედეგები პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან და თვალშისაცემი იყო შედარების შედეგი, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ საჭირო იყო სასწავლო კურსის ფარგლებში გამომუშავბეული პრაქტიკული უნარების ასახვა პროგრამის გათვალისწინებულ მიზნებთან. ცალკეულ სასწავლი კურსებზე (სამუზეუმო საქმის ისტორია და პრაქტიკა - 5 ECTS სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი - 5 ECTS საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები - 5 ECTS სამუზეუმო მარკეტინგი - 5 ECTS გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში - 5 ECTS საგანმანათლებლო პროგრამები და საზოგადოებასთან ურთიერთობა - 5 ECTS სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი - 5 ECTS სამუზეუმო პრაქტიკა - 5 ECTS) გადასახედია და დასაზუტებელია თემატიკა, რომლიც ზუსტად ასახავდა სასწავლო კურსის მიზანს, რაც უტყუარი წინაპირობაა შესაბამისი დარგობრივი შედეგის დადგომისათვის.

დეტალურად იქნა შესწავალილი სასწვალო კუსრების სავალდებული ლიტერატურა რის შედეგადაც დადასტურდა მითითებული ლიტერატურის გადაფარვები და თანხვედრა. (სამუზეუმო საქმის ისტორია და პრაქტიკა - 5 ECTS სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი - 5 ECTS საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები - 5 ECTS სამუზეუმო მარკეტინგი - 5 ECTS გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში - 5 ECTS საგანმანათლებლო პროგრამები და საზოგადოებასთან ურთიერთობა - 5 ECTS სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი - 5 ECTS - ჩამოთვლილი სასწვალო კურსების სავალდებული ლიტერატურა შედგება შემდეგი ავტორების გამოცემებისგან: ბარი და გეილ ლორდები, ”სამუზეუმო ექსპოზიციების სახელმძღვანელო”, თბ., 2009, ბარი და გეილ ლორდები, “სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი”, თბ., 2006, საქართველოს მუზეუმების გზამკვლევი, თბ., 2006, თბილისის მუზეუმების გზამკვლევი, თბ., 2016 3. Handbook for museums, ICOM – International Council of Museums, Paris, 2004, მარიამ ბურჭულაძე, ინგა ქარაია, „ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის და დაცვის შესახებ“, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გამოცემა. თბილისი, 2006 .

სასწავლო კურსებში (გამოფენების დაგეგმვა და ინტრეპრეტაცია, სამუზეუმო პრაქტიკა, საგანამანთლებლო პროგრამები და საზოგადოებასთან ურთიერთობა, სამუზეუმო მარკეტინგი) წარმოდგენილია უცხოენოვანი ელექტრონული რესურსებით, (ვებ გვერდები და სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმები), სასურველია მომზადდეს რიდერების სახით, რათა კურსის ავტორმა ხელი შეუწყოს კურსის სრულყოფილად განხორციელებას.

სამუზეუმო სფერო მუდმივად განახლებადი მიმართულებაა, რომელიც დიდი ხანია ცდება

ისტორული კონტექსტისა და საისტორიო კვლევის თემატიკას, შესაბამისად, სასურველია, პროგრამის სტუდენტებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ ამ სფეროს უახლეს პროფესიულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებზე. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებული უნდა იყოს დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე.

ძირითადი საგნების, (სპეციალობის მოდულის) სილაბუსებით წარმოდგენილი სასწავლო კურსის შინაარსებში, აუცილებელია განისაზღვროს სასწავლო კურსის მეთოდები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც სრულიად უნიფიცირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო საგნების ყველა სილაბუსში მოცემულია სავალდებულო რეფერატის მომზადება (10 ქულა), მიზანშეწონილია, სილაბუსებში განისაზღვროს რეფერატის სავარაუდო საკვლევი არეალი და კრიტერუმები.

პროგრამა და პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანამანთლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში.
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპეტენციების განვითარებას თანამედროვე მუზეუმის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტს საშუალებას მიეცეს აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი საკვლევი ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი სასწავლო კურსი და პროგრამას დაემატოს თავისუფალი კრედიტის კომპონენტი.
- სასურველია პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით ძირითად საგნების მოდულს დაემატოს კულტურის სფეროს მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის საგნები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სწავლების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ასახულია სილაბუსებში. რიგი სასწავლო კურსები („სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“, „გიდის ხელოვნება“, „გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში“, „სამუზეუმო პრაქტიკა“, „სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი“) ითვალისწინებს როგორც სააუდიტორიო, ასევე გასვლით არასააუდიტორიო სწავლებებს (პრაქტიკა). მოცემულ სასწავლო კურსებში, არ ხდება სასწავლო თემატიკის და პრაქტიკული სამუშაოს სრულ სემესტრულ მოცულობაზე გაწერა. წინამდებარე სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების ზუსტად გაწერის შემთხვევაში, მოცემული ფორმატი გაადვილებდა სასწავლო კურსის ფუნდამენტურად გააზრებას და თეორიული ცოდნის სრულყოფილად რეალიზებას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით: „ძირითადი სპეცილობის მოდულის საგნების ერთობლიობა საშუალებას იძლევა, სტუდენტს გამოუმუშავდეს როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი კომპეტენციები. ამ საგნების გავლის შედეგად სტუდენტს ეცოდინება: სამუზეუმო საქმის ისტორია, სამუზეუმო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ასევე, იგი შეძლებს მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, შემდგომი განვითარებისა და სამუზეუმო მასალების სისტემატიზაციისათვის საჭირო საქმიანობის აღწერას და გაანალიზებას მუზეუმმცოდნეობის სპეციფიკური მეთოდებით“. აღსანიშნავია, რომ ძირითადი სპეციალობის საგნებში, „სამუზეუმო საქმის ისტორია“ და „სამუზეუმო საქმის მენჯმენტი“ მიზანშეწონილია გადაიხედოს არამარტო სასწავლო კურსების მიზანი და შედეგები, არამედ სასწავლო კურსის თემატიკა და გამოირიცხოს ერთნაირი საკითხების გადაფარვა. ასევე აუცილებელია საგნებში „სამუზეუმო საქმის ისტორია“ და „სამუზეუმო საქმის მენჯმენტი“, „სამუზეუმო მარკეტინგი“ შეჯერდეს და დაზუსტდეს ძირითადი ლიტერატურის სია და შეიცვალოს თანამედროვე და საგნის სპეციფიკით გათვალისწინებული ლიტერატურით და სასწავლო რესურსებით. ძირითადი სპეციალობის მოდულის საგანს, „სამუზეუმო მარკეტინგი“, რომლის სალექციო თემატიკა მარკეტინგულ კომუნიკაციებსა და კულტურის სფეროს მარკეტინგის ამოცანებს მოიცავს, სავალდებულო ლიტერატურის სიაში აუცილებელია დაემატოს მარკეტინგის სახელმძღვანელო გამოცემები და ავტორთა ჩამონათვალი. (მაგალითად, ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი, ბარინ თრეისი და სხვ.) ძირითადი სპეციალობის საგნების ძირითად ლიტერატურად დასახელებულია მხოლოდ ბ. ლორდისა და გ. დ. ლორდის „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“, ბ. ლორდი, გ. დ. ლორდი - „სამუზეუმო ექსპოზიციების სახელმძღვანელო“, რაც შეუძლებელს ხდის ძირითადი სპეციალობის მოდულის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევასა და პროგრამით გათვალისწინებული

მიზნის შესრულებას, მხოლოდ ორი ძირითადი სახელმძღვანელოთი და ინტერნეტ რესურსებით.

სასწავლო კურსის „გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში" სასწავლო მეთოდებად აღწერილია, რომ „გამოყენებული იქნება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირებისა და პრაქტიკული მუშაობის მეთოდები (მუზეუმებსა და გალერეებში), ასევე, დისკუსია/დებატების, ჯგუფური (collaborative) მუშაობის, შემთხვევის ანალიზის (case study), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, გონებრივი იერიშის (Brain storming), დემონსტრირების, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები“. ასევე, ამავე კურსის სწავლის შედეგში აღწერილია, რომ სასწავლო კურსის მიზანია „გამოუმუშავოს და განუვითაროს სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მუზეუმებსა და გალერეებში სხვადასხვა ტიპის გამოფენების (შემეცნებითი, თემატური, სისტემური, ინტერაქტიული, გამოყენებითი და სხვა) მოწყობისა და ინტერპრეტაციის საქმეში. სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი მეთოდები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი არ იძლევა შესაძლებლობას დადგემილი სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსით გათვალისწინებული უნარებისა და ცოდნის შედეგის მისაღწევად. პროგრამის მიხედვით ძირითადი სპეცილობის მოდულის ყველა სილაბუსი წინაპირობის გარეშეა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამაზე დაშვება თავისუფალია და სპეციალობის საგნები ითხოვს განსაკუთრებულ ცოდნასა და თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას, მიზანშეწონილია, საგნების შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს, როგორც პროგრამის მიზნებთან, ასევე სასწავლო კურსით დაგეგმილ შედეგებთან. ასევე პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ისეთ მნიშვნელოვან საგნებში, როგორიცაა „გამოფენების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია მუზეუმებში", „სამუზეუმო მარკეტინგი“, „სამუზეუმო კოლექციების ინტრეპრეტაცია“ სალექციო თემატიკა დალაგდეს საგნის მნიშვნელობისა და შინაარსის შესაბამისად, ასევე სამივე საგნის საპრეზენტაციო თემებისთვის შეირჩეს შესაბამისი თემატიკა, რადგანაც სამივე სილაბუსის პრეზენტაციის ჩანაწერი გულისხმობს რომ, „სტუდენტი სემესტრის ბოლოს მოამზადებს საგანთან დაკავშირებული რაიმე თემის პრეზენტაციას, სადაც ის წარმოაჩენს აკადემიური პრეზენტაციის მომზადების ნორმების ცოდნას“, სასურველია პროგრამის შედეგების მისაღწევად ძირითადი სპეციალობის მოდულის საგნების სარეფერატო ნაშრომები და საპრეზენტაციო დავალებები დაზუსტდეს და სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს დეტალური აღწერილობით.

მიზანშეწონილია, სილაბუსებში მითითებული, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურზე სწავლების მოთხოვნებს. სასწავლო კურსი „ზოგადი კულტუროლოგია“ სავალდებულო ლიტერატურა მხოლოდ ორი წიგნითაა წარმოდგენილი გ. ლებანიძე „კულტუროლოგიის საფუძვლები“. 2000 2. გ. ლებანიძე „დასავლეთი”, 2001.

სასწავლო კურსი „სამუზეუმო კოლექციების პრევენციული კონსერვაცია“ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა გასაახლებელია და საჭიროებს საერთაშორისო, მათ შორის რატიფიცირებული კონვეცნიებისა და მოქმედი კანონმდებლობის განხილვას კულტურული მემკვიდრეობისა და სამუზეუმო კოლექციების დაცვის კონტექსტში. სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად მოიცავს ქართულენოვან პუბლიკაციებს და მიზანშეწონილია, პროგრამისა შედეგების

უზრუნველყოფისთვის საკითხავი რიდერების მომზადება ან სახელმძღვანელოების მომზადების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში მითითებული პუბლიკაციები უცხო (ინგლისურ) ენაზე მეტად მწირია და არ აწვდის სტუდენტს საკმარის რესურსს სფეროში მიმდინარე პროცესების, კვლევების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. სასწავლო კურსების დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია სხვადასხვა მუზეუმების და სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ვებ-გვერდების ბმულები, მაგრამ არაა საკმარისი და რელევანტური სწავლის შედეგების მისაღწევად და სფეროში დარგობრივი კომპეტენციის შესაძენად.

კურიკულუმით წარმოდგენილია სასწავლო კურსი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალური მიმართულების „ინტერპრეტაციისა და სამუზეუმო კონტექსტში ინტეგრაციას“. მიუხედავად იმისა, რომ „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა სამუზეუმო საქმიანობის ერთ - ერთი მნიშვნელოვანიი ნაწილია, უნდა აღინიშნოს, რომ არამატერიალური მემკვიდრეობა კულტურული მემკვიდრეობის საერთო ოჯახის წევრია, და მისი განხილვა მატერიალური მემკვიდრეობის, „ცოცხალი მეხსიერებისა“ და სხვა თანმდევი საერთაშორისო პრაქტიკის (საერთაშორისო კონვენციები და კანონმდებლობა“) შეუძლებელია. შესაბამისად დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის თემატიკათა ინტეგრაცია ერთ სასწავლო კურსად, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას.

მიუხედავად, იმისა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი კომპლექსურია, მიზანშეწონილია, გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტის მიმართულება. წარმოდგენილი პროგრამა, ცალსახად მიმართულია სახელოვნებო სფეროზე, რაც ერთი მხრივ, ბუნებრივია, უსდ-ს პროფილის გათვალისწინებით, მაგრამ მეორე მხრივ, ეწინააღმდეგება პროგრამის გაცხადებულ მიზნებს, რომელიც ზოგადი პროფილის მუზეუმმმცოდნის მომზადებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ სახელოვნებო მიმართულების პრიორიტეტი დასტურდება როგორც წარმოდგენილი სილაბუსებით, (ხელოვნებათმცოდნეობის ისტორია, თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის თანამედროვე მეთოდები, ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმში და სხვა) ასევე, სილაბუსებით გათვალისწინებული თემატიკა, დამხმარე ლიტერატურა და/თუ მითითებული ვებ-გვერდები, ძირითადად, ხელოვნების მუზეუმის მიმართულებითაა წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანამანთლებლო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები ეფუძნებოდეს დარგის უახლოეს საკვანძო მიღწევებს.

- ❖ რეკომენდებულია დარედაქტირდეს სასწავლო კურსებისათვის „ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში“, „მუზეუმების დაგეგმარება, არქიტექტურა და სამუზეუმო ტექნიკები“, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ „გიდის ხელოვნება“ და „ სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია“ შინაარსის ნაწილი თემატური გადაფარვების აღმოსაფხვრლად.
- ❖ რეკომენდებულია სასწავლო კურსები „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ შეიცვალოს და ინტეგრირდეს „კულტურული მემკვიდრეობის მართვის“ სასწავლო კურსად.
- ❖ რეკომენდებულია დარედაქტირდეს/გადაიხედოს არჩევითი კურსების სია, კურიკულუმის დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ❖ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის ძირითადი სპეციალობის მოდულს დაემატოს საგანი „საკურატორო საქმე“.
- ❖ სასურველია სასწავლო კურსები “ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში” „სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია” და „სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი“ გაერთიანდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად.
- ❖ სასურველია სასწავლო კურსები „საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები და სამუზეუმო ფასეულობების აღრიცხვა-დაცვა“ გაერთიანდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად.
- ❖ სასურველია სასწავლო კურსები „საგანმანათლებლო პროგრამები და საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და „სამუზეუმო მარკეტინგი“ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად, შემდეგი სახელწოდებით - „მუზეუმის კომუნიკაცია და მარკეტინგი“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა ორიენტირებულია თეორიული მასალის ათვისებაზე, ანალიტიკური უნარების განვითარებაზე, რასაც, გარდა კონკრეტული სასწავლო კურსებისა, ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში (კონკურსებში, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ვორქშოფებში, სემინარებში, ასევე, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში). უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული სასწავლო სისტემის საშუალებით სისტემატურად ხდება სტუდენტების ინფორმირება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების შესახებ.

მოუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ასახულია ფაკულტეტის მიერ განხორციელებული სამუზეუმო ექსპონატების სარესტავრაციო პროექტები, „მუზეუმმცოდნეობის“ პროგრამის სტუდენტების ჩართულობა დოკუმენტურად არ დასტურდება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ (სამუშაო ჯგუფების წევრობა, უშუალო მონაწილეობა ტრენინგებსა და კონფერენციებში, კვლევით პროცესებში), რომელსაც ახორციელებდა პროგრამის პირველი ხელმძღვანელი და გამოკითხული სტუდენტების მონაწილეობაც დადასტურებულია. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს „სამუზეუმო ფასეულობის აღრიცხვა-დაცვა“ და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განიხილება სტუდენტების მონაწილეობა აკადემიის მუზეუმის კოლექციების ინვენტარიზაციის პროცესში. რეკომენდებულია, მონაწილეობისა და პრაქტიკის კომპონენტი ასახული იყოს სასწავლო კურსის სილაბუსსა და შეფასების მეთოდოლოგიაში.

პროგრამა ასევე მოიცავს სასწავლო კურსს „სამუზეუმო პრაქტიკა“, რომლის შინაარსიც გადაფარულია და გამეორებულია ისეთ სასწავლო კურსში, როგორიცაა „სამუზეუმო კოლექციების პრევენციული კონსერვაცია“ („კურსი სტუდენტებს მიაწვდის ასევე ზოგად ინფორმაციას ფონდსაცავში სამუზეუმო ფასეულობათა შენახვისა და დაცვის (ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის, სინათლის რეჟიმები“, „საგამოფენოდ მომზადების, სხვადასხვა ტიპის მასალის შეფუთვისა და ტრანსპორტირების და სხვა საკითხების შესახებ“). მნიშვნელოვანია, საგნის - „სამუზეუმო პრაქტიკა“ - თემატიკა და საველე სამუშაოების (რომელიც აღნიშნულია სილაბუსში) შეფასების მეთოდიკა შესაბამისობაში იყოს პროგრამისა და სასწავლო კურსით გათვალისწინებულ აქტივობებთან და სტუდენტმა მიიღოს ცოდნა პრაქტიკული უნარ - ჩვევებისა და სამუზეუმო მუშაობის სპეციფიკის შესახებ. სასწავლო კურსების „სამუზეუმო პრაქტიკა“ და „სამუზეუმო ფასეულობების აღრიცხვა-დაცვა“ მიზანია, სტუდენტს უშუალოდ გააცნოს მუზეუმების საქმიანობის ყველა კონკრეტული მიმართულება - თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში პრაქტიკის გავლით, კოლექციებისა და მიმდინარე გამოფენების ადგილზე გაცნობით და ა.შ. მიუხედავად, იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებენ საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებთან დადებულ მემორანდუმებს თანამშრომლობის შესახებ, პროგრამის პრაქტიკული ნაწილის გასაძლიერებლად, რეკომენდებულია, პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია პრაქტიკის კომპონენტის აღწერილობით, პროგრამისთვის კი მომზადდეს სასწავლო კურსის - „სამუზეუმო პრაქტიკა“ - სილაბუსი, რაც გააძლიერებს მაგისტრანტთა პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და

თეორიის ფაკულტეტზე, შესაბამისად, რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში; პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე ამ სფეროში საქმიანობისთვის აუცილებელი შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნითა და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღებად, მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკულ/შემოქმედებითი და, ასევე, კვლევითი დავალებების შესრულება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ცალკეული პრაქტიკულ/შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისას შეიძინონ კონკრეტული უნარ-ჩვევები და გამოიყენონ ისინი კონკრეტულ სიტუაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ თვითშეფასების ანგარიში; ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ სასწავლო კურსების სილაბუსები; ❖ მემორანდუმები; ❖ ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პრაქტიკის სილაბუსთან და აისახება პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებში. ❖ რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა/სწავლების ფორმატად შერჩეულია ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, სწავლების მეთოდები კი მრავალფეროვანია. სტუდენტები ამზადებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტს, მის პრეზენტაციას, ჯგუფური მუშაობის დროს

იმართება დისკუსია/დებატები და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით წარმოდგენილი ყველა სილაბუსი ერთნაირი მეთოდიკით ხასიათდება და არის არის გათვალისწინებული, არც სასწავლო კურსების სპეციფიკა და არც სასწავლო კურსების შინაარსია გათვალისწინებული სწვალის მეთოდების შერჩევისას. სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის მეთოდებით ბუნდოვანია რომელი სასწავლო კურსი, რომელ სწავლა-სწავლების მეთოდს გამოიყენებს, რის გამოც, რთულია სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის დადგენა. სილაბუსებით განსაზღვრულია შუალედური და ფინალური გამოცდები, რომელთა შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ცნობილია სტუდენტებისთვის. შუალედური და ფინალური გამოცდები ტარდება ღია და დახურული კითხვებით, რაც მიზაშეწონილია შეიცვალოს საგნების თავისებურებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე (სამუზეუმო მარკეტინგი, სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი, გიდის ხელოვნება). მიზანშეწონილია, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს, როგორც პროგრამის მიზანი, ისე, სასწავლო კურსის თავისებურება და შინაარსი. სწავლებისას გამოყენებული მეთოდების სწორი შერჩევა და მათი კომბინირება შესაძლებლობას შექმნის მაგისტრანტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე, შემეცნებითი და კვლევითი საქმიანობის სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამაგისტრო პროგრამის შედეგების - მუზეუმმცოდნეობის მაგისტრის კომპეტენციების მიღწევას და შესაძლებლობას გამოვლინდეს მაგისტრანტთა შესაძლებლობები და მოხდება მათი კვლევითი საქმიანობის სტიმულირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ სილაბუსები; ❖ სწავლება-სწავლის მეთოდები; ❖ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება და სწავლის მეთოდების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა სასწავლო კურსის შინაარსთან და მიზნებთან. ❖ რეკომენდებულია თითოეული სილაბუსის სასწავლო კომპონენტში ასახული იყოს კონკრეტული სალექციო დღის სწავლის მეთოდიკა (სემინარი, ჯგუფური მუშაობა, დავალება, დისკუსია და აშ - თემატიკის განსაზღვრით).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე, სტუდენტის შეფასება ხდება თსსა-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით. შეფასების სისტემა გაწერილია მუზეუმმცოდნეობის პროგრამაშიც (სამაგისტრო ნაშრომი, საკურსო). წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემული სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აკადემიის ვებ-გვერდზე და ამდენად, ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, სწავლის პროცესის შეფასების კრიტერიუმები, რომელსაც სტუდენტი სასწავლო სემესტრის დასაწყისში საგნის სილაბუსით ეცნობა, მრავალკომპონენტიანია (შუალედური გამოცდა, რეფერატი, პრეზენტაცია, ესსე). სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, ქულობრივი გადანაწილება და მეთოდები ყველა საგანში (თეორიულში და პრაქტიკულში) ერთნაირად არის გაწერილი. პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით, სადაც 10 ქულიანი შეფასება ეკუთვნის დასწრების ქულას. დარჩენი 90 ქულა კი შუალედური და დასკვნითი გამოცდების წილზე მოდის. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, ქულების მიხედვით, ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას მოიცავს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც ქულები კომპონენტების მიხედვით, წილობრივად არის განაწილებული. პროგრამის სილაბუსებით ერთიანი შეფასების სისტემით არიან წარმოდგენილი, როგორც თეორიული საგნის სპეციფიური, ისე, პრაქტიკული საგნები. მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სილაბუსებში მოცემული შეფასების მეთოდები შეესაბამებოდეს საგანთა სპეციფიკას და შეფასების სისტემაც საგანთა თავისებურებიდან გამომდინარეობდეს. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 10 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია, თსსა-ში მოქმედებს ელექტრონული სისტემა, სადაც შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ და სტუდენტს აქვს ინდივიდუალური წვდომა როგორც სასწავლო პროცესზე, ასევე საკუთარ შედეგებზე. თსსა აკადემიის წარმოდგენილი საგანამანთლებლო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და ინტერვიუს შედეგებით ირკვევა, რომ სტუდენტს აქვს საშუალება გაასაჩივროს შეფასების შედეგები. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება

შეფასების ან/და გამოცდის შედეგს, უფლებამოსილია, შეფასებიდან ან/და გამოცდიდან არაუგვიანეს 5 დღეში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა, აღსანიშნავია, რომ ინტერვიურებულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ამ შესაძლებლობით არასდროს უსარგებლიათ და შესაბმისად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ აპელაციის პროცესსა და პროცედურებზე ინტერვიუირების პროცესში, პროგრამაში ჩართულმა აკადემიური პერსონალმა განმარტეს, რომ სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დადგენილი წესის მიხედვითაა მომზადებული და არ არის გათვალისწინებული საგნების სპეციფიკა და მისი სწავლების მეთოდოლოგია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ საკურსო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ❖ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები; ❖ სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ნაშრომის დაცვის წესი; ❖ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ❖ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ❖ გამოკითხვის შედეგები. ❖ თვითშეფასების ანგარიში ❖ სასწავლო კურსების სილაბუსები; ❖ უნივერსიტეტის ვებგვერდი; ❖ გამოცდების ჩატარების წესი.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო მოქნილი მექანიზმი და მიზანშეწონილია, საჩივრების/აპელაციების ადმინისტრირებაზე და განსაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი; ❖ რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელების შესახებ. ისინი ეცნობიან სასწავლო პროგრამის განხორციელების გეგმას, მეთოდებს. სასწავლო კურსის დასაწყისში, სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით ეგზავნებათ სილაბუსები. მათ, ასევე, შესაძლებლობა აქვთ, თავად ნახონ ის ვებ-გვერდზე. ინტერვიურებისას, სტუდენტებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური კონსულტაციის მიღება/გაწევის საშუალება შეუზღუდავად, გაწერილი საკონსულტაციო საათების მიღმა. სტუდენტები აკადემიურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გრძნობენ ფაკულტეტის დეკანისაგან, აკადემიური პერსონალისაგან, პროგრამის ხელმძღვანელისაგან, იღებენ რა კონსულტაციას, რჩევებს საკურსო ნაშრომების, რეფერატების მომზადების პროცესში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განსაკუთრებით აღნიშნეს პროგრამის წინა ხელმძღვანელის ყოველმხრივი მზაობა მათი დახმარებისთვის, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით - კონფერენციების, სხვა აქტივობებში (მაგ,: საერთაშორისო ფორუმი, პროექტი) მონაწილეობის, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზების საქმეში. წინამდებარე სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების პროცესში ჩართულობა, კითხვარების შევსების	

გზით და საკუთარი აზრის კითხვარებში დაფიქსირებით ახსნეს კურსდამთავრებულებმა. ერთ-ერთი მათგანი, თვითშეფასების ჯგუფის წევრი იყო და ამდენად, ჩართული ჯგუფის საქმიანობაში. მას ევალებოდა სტუდენტთა და კურდამთავრებულთა კითხვარების მონაცემების დამუშავება, თუმცა, გამოკითხვის შედეგების დოკუმენტი ექსპერტთათვის წარმოდგენილი არ ყოფილა. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სტუდენტები პედაგოგისაგან იღებენ მითითებებს, კონსულტაციებს საკურსოს, რეფერატების წარდგენის შემდეგაც. პედაგოგი, სტუდენტთან განიხილავს ნაშრომის ნაკლოვან მხარეებს, რის შემდეგაც, მიმდინარეობს მუშაობა მათ გამოსასწორებლად. სტუდენტებისთვის ცნობილია შეფასების სისტემა და კრიტერიუმები. აღსანიშნავია, რომ აქამდე არცერთ სტუდენტს არ უსარგებლიათ შეფასების გასაჩივრების სერვისით. გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ წვდომა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელეტრონულ რესურსებთან, სადაც შეუძლიათ მოიძიონ სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, ხელი მიუწვდებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე. დასაქმებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას სტუდენტი იღებს ელექტრონული ფოსტის ან მობილური შეეტყობინების საშუალებით ან თავად ეძებს სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფში. სტუდენტები, ამჟამად, არ მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში, თუმცა, კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს მათი ჩართულობა პროგრამის წინა ხელმძღვანელის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზების საქმეში და მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმში, საზღვარგარეთ. სტუდენტები არ მონაწილეობენ კურილუკუმს გარეთ დაგეგმილი აქტივობებში და არა აქვთ მათ შესახებ ინფორმაცია, რაც ქვეყანაში არსებული პანდემიით ახსნეს. გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს სურვილი, პროგრამაში უცხო ენის სილაბუსები დაიტვირთოს მეტი პროფესიული ტექსტებით, ლიტერატურით; გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი (პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე შეფერხებული). პანდემიამდე, სტუდენტებს, სამუზეუმო საქმესთან დაკავშირებული ლექციები უტარდებოდათ სხვადასხვა მუზეუმში და ადგილზე ეცნობოდნენ მისი მუშაობის სპეციფიკას. კურსდამთავრებულმა, პროგრამის განვითარებისთვის ისურვა პროექტის წერის, მენეჯმენტის საგნების, ფანდრაიზინგის წილის გაზრდა სწავლების პროცესში. რეფერატის, საკურსოს თემას, სტუდენტი ირჩევს თავად ან აკეთებს არჩევანს ლექტორის მიერ შეთავაზებულ ვარიანტებს შორის. საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკა, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულია საკურსოს ან რეფერატის თემატიკისაგან. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ მათი შეფასება და განწყობა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში, საერთო ჯამში, პოზიტიურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ სასწავლო კურსის სილაბუსები; ❖ ინტერვიუ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან/ადმინისტრაციასთან/ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან/ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ❖ თსსა ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდი.

რეკომენდაციები:

- ❖ რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში სახელოვნებო პროგრამისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, უცხოელი პარტნიორების მოძიება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა;
- ❖ რეკომენდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის ამაღლება;
- ❖ რეკომენდებულია გაიზარდოს პრაქტიკის განმახორციელებლი დაწესებულებების რიცხვი და არ განხილებოდეს მხოლოდ ერთი ტიპის მუზეუმების პრაქტიკაში ჩართულობა.
- ❖ რეკომენდებულია შეჯერდეს სტუდენტების პრაქტიკის ნაწილის პროგრამის მიზენებთან და მოსალოდნელ შედეგებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ❖ მიზანშეწონლია, დაიგეგმოს და გატარდეს ღონისძიებები სტუდენტური აქტივობების გაუმჯობესების მიზნით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს სასწავლო და კვლევითი პროცესების კარგი გამოცდილება, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე (რეზიუმეები, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, ასევე მათ რეზიუმებში აღწერილი მათივე მონაწილეობა დარგობრივ და პროფესიულ განვითარების აქტივობებში. მათი ცნობადობა ასევე მაღალია დარგის საერთაშორისო წარმომადგენელთა წრეებში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და კვლევების წილის გაძლიერებას. პროგრამის ხელმძღვანელები ასევე აქტიურად გადასცემენ საკუთარ გამოცდილებას სტუდენტებს და გეგმავენ აქტიურად ჩართონ დარგობრივ პროექტებსა და პრაქტიკულ სამუშოებში.

სტუდენტებისა და სწავლების განმახორციელებელი პერსონალის ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს, საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, უკვე აქვს გამოკვეთილი ინტერესი გარკვეული მიმართულებით. ინტერესის არეალის ფარგლებში, სტუდენტი თავად ირჩევს საკვლევ თემატიკას ან აკეთებს არჩევანს ლექტორის მხრიდან შემოთავაზებულ ვარიანტებს შორის. თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ნაშრომის დაცვის წესის დოკუმენტის

მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად ინიშნება აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი, ვისაც აქვს შესაბამის თემასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად, შესაძლებელია, დაინიშნოს გარედან მოწვეული პერსონალიც, იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე არ მუშაობს თსსა პედაგოგი. ასევე, დაშვებულია თანახელმძღვანელობაც. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული საკონსულტაციო საათების რაოდენობის, ხელმძღვანელობის წესებს, უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს მარეგულირებელი დოკუმენტი (დანართი 14). პროგრამის ხელმძღვანელების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის პირველადი ვერსიის წარდგენა დარგობრივი კომისისის წინაშე, რომელზეც მაგისტრანტის მოსმენის შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების ან არ დაშვების შესახებ და იგივე კომისია იღებს გადაწყვეტილებას რეცენზენტის დანიშვნის შესახებ. ამასთან, ერთ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შეუძლია იყოს სამი საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი. წინამდებარე პროგრამაზე დაცული ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო წინა ხელმძღვანელი, რომელსაც ჰქონდა სათანადო კვალიფიკაცია და შესაბამისი მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული კვლევის გამოცდილება. შემოწმების ეტაპზე, სამაგისტრო პროგრამას ორი თანახელმძღვანელი ყავს, რომელთა გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ კრიტერუმებს, თუმცა, მიზანშეწონილია, პროგრამის სპეციფიკად გამომდინარე, სტუდენტებს ჰქონდეთ სხვადასხვა მკვლევარს შორის არჩევის შესაძლებლობა, რათა გაფართოვდეს კვლევის სფერო, ან, უნდა არსებობდეს თუნდაც ერთი თანახელმძღვანელის აყვანის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; ❖ აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ❖ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი (დანართი 14).
რეკომენდაციები: ❖ სასურველია დაწესებულებამ შექმნას შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას არჩევანის თავისუფლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიკაციური აკადემიური და მოწვეული პერსონალით. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტების რაოდენობისა და პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობაა 19. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. წინამდებარე პროგრამას, წინა ხელმძღვანელის მხარდაჭერით საუკეთესო პრაქტიკა აქვს. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად წარმართავდა სასწავლო და კვლევით პროცესებში სტუდენტების ჩართულობას. მის მიერ ხდებოდა სტუდენტთა წახალისება კვლევებში და პრაქტიკულ სამუშაოებში მონაწილოებით, რაც ამჯერადაც გაზიარებულია მოქმედი ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან, რასაც ადასტურებს, არა მხოლოდ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პორტფოლიოები, არამედ ინტერვიუები სტუდენტებთან და

კურსადამთვრებულებთან. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან, 5/15 საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას, რის გასაუმჯობესებლადაც დაწესებულებამ უნდა დასახოს გარკვეული ღონისძიებები. რაც შეეხება სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის რაციოთა თანფარდობას, ის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია 20/10, მათ შორის აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 5/10. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური პერსონალი სამჯერ ნაკლებია ვიდრე მოწვეული, ეს ერთგვარად შესაძლებელია დაბრკოლებად იქცეს სტუდენტთათვის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ პროგრამას 2021 წლის შემოდგომიდან ხელმძღვანელობს ორი ახალი ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ მათ გააჩნიათ, პროგრამის ჯეროვნად წარმართვის კომპეტენცია, პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება და პროგრამის გაუმჯობესების იდეებიც, რაც, ერთის მხრივ, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირების წინაპირობაა, მეორე მხრივ კი სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის საწინდარი. პროგრამას ემსახურება 8 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელები ინიშნებიან გამჭირვალე საკონკურსო პროცედურების დაცვით. კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონსკურსი საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან; ❖ პროგრამის სილაბუსები; ❖ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV), ნაშრომების სია და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს კვლევით საქმიანობაში, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეებითა და პორტფოლიოებით. პროგრამის ხელმძღვანელები და სხვა ჩართული პირები მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო და საგრანტო პროექტებში: ❖ "ქართული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ვირტუალური ანასტილოსი სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში დაცული კოლექციების კვლევის საფუძველზე", რომელიც მხარდაჭერილი და დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. ❖ პროგრამის ხელმღვანელები და კურსადამთვარებულები მონაწილებონ მუზეუმები და COVID-19. გამოწვევები, გადაფასება, პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის რეგიონის მუზეუმებისთვის "სამუზეუმო ლიდერობა". ევროკავშირის მიერ დააფინანსებული პროექტის BE MUSEUMER ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს NEMO - ევროპის სამუზეუმო ორგანიზაციების ქსელის მხარდაჭერით. ❖ კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980) - რომელიც მიმდინარეობს შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფინანსური მხარადჭერით. ❖ „არტი და ტექსტი - სტუდენტური ელექტრონული ჟურნალი" www.artandtext.ge. ❖ ჯგუფური პროექტი „საქართველოს ეროვნული მუზეუმის დასავლეთევროპული ხელოვნების კოლექციის ინტეგრირებული კვლევები" ,რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით დაწესებულება და პროგრამის ხელმძღვანელობა რეგულარულად მუშაობს საკუთარი პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი და კუსდამთავრებულები პერიოდულად მონაწილეობს კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში. ❖ 2019-2021 ევროკავშირის შემოქმედებითი ევროპის მიერ დაფინანსებული პროექტის BE MUSEUMER 5 საერთაშორისო ტრენინგი/სემინარი სამუზეუმო ლიდერობის, მარკეტინგის, კომუნიკაციის, მუზეუმების სოციალური როლის, საგანმანათლებლო პროგრამების და კულტურის აქციების საკითხებზე; ❖ ICOM საქართველოს მიერ ორგანიზებული ეროვნული და საერთაშორისო სემინარების სერია სამუზეუმო სფეროს თანამედროვე პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, 2017-2021

პროგრამის ხელმძღვანელები და ჩართული აკადემური პერსონალი მონაწილოებს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო პროგრამებსა და საერთაშორრისო კონფერენციებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პორტფოლიოებით, მათ შორის აღსანიშნავია, ერაზმუსის გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო ლექცია - სემინარები და ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება, რაც მოიცავს მათი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მნიშვნელოვანი იქნებოდა დაწსებულებას წარმოედგინა შეფასების საშუალებები სათანადო ანალიზებით. წარმოდგენილი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიურების დროს გამოკითხვის შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გამოიკვლიოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებანი პროფესიული განვითარების კუთხით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ აკადემიური პერსონალის და ხელშეკრულებით მოწვეული პედაგოგების პირადი მონაცემები (CV); ❖ ინტერვიუს შედეგები. ❖ პროგრამის სილაბუსები;
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს პროგრამის არსებითი კონცეფცია უშუალოდ პროგრამის განმახორცილებელების მიერ, სადაც გათვალისწინებული იქნება დარგში უახლესი მიღწევები, რასაც წინ უნდა უსწრებდეს უსდს მხრიდან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია დაწესებულებამ გამოიკვლიოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებანი პროფესიული განვითარების კუთხით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ფაკულტეტზე არსებობს ორი კაბინეტი: ლეო რჩეულიშვილის სახელობის კაბინეტი, რომელშიც ძირითადად ქართულ ხელოვნებაზე არსებული ლიტერატურა და საილუსტრაციო მასალაა დაცული და ჯო კეიგლის სახ. ამერიკული ხელოვნების კაბინეტი, რომელშიც ამერიკული და დასავლური ხელოვნების შესახებ არსებული წიგნები, ვიდეოფილმები და სხვა საილუსტრაციო მასალაა თავმოყრილი. ორივე კაბინეტში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ჯ. კეიგლის კაბინეტში არის ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, DVD და პროექტორი. გარდა ამისა, თსსა-ში არსებობს მუზეუმი, რომელშიც დაცულია 3000-ზე მეტი ექსპონატი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსების დათვალიერება და გაცნობა აკრედიტაციის სამუშაო ჯგუფის მიერ, თსსა აკადემიაში მიმდინარე სარემონტო სამუშოების გამო ვერ მოხერხდა. თსსა-ში 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩართულია წვდომა ELSEVIER-ის სამეცნიერო ბაზებზე: Science Direct, Scopus, Funding Institutional. იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია გადასულია დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, თსსა-ს ყველა თანამშრომლისთვის, ისევე როგორც ყველა საფეხურის სტუდენტისთვის ბაზებზე წვდომა შესაძლებელია, როგორც დაწესებულებიდან, ასევე დაწსებულების გარეთ ნებისმიერი ადგილიდან. გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ თსსა -ს წარმომადგენლებს მათი ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეუძლიათ ბაზებზე დისტანციური წვდომა, ამისათვის თითოეული მომხმარებელი უთითებს ინსტიტუციურ ელექტრონულ ფოსტას, რომლითაც შექმნილი აქვს ელსევიერის ანგარიში და ფოსტაზე მისდის ბაზებზე წვდომის ბმული. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ უსდ-ს საბიბლიოთეკო რესურსების გაცნობა ასევე სარემონტო სამუშაოების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა, პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის მოძიება შესაძლებელი იყო ელექტრონულ ბაზაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ❖ წარმოდგენილი ბიუჯეტი; ❖ ადგილზე ვიზიტი; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ❖ საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს ახალი, დარგობრივი ლიტერატურითა და სამეცნიერო გამოცემებით, როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს უახლეს დარგობრივ და პროფესიულ გამოცემებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსა წარმოადგენს დიდი შემოქმედებითი ისტორიის მქონე ორგანიზაციას, სადაც არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ. უნივერისიტეტის ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს. თსსა აკადემიის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი და ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა. წარმოდგენილ პროგრამაზე, უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს მისაღები კონტინგენტს - 10 ადგილის ოდენობით. წარმოდგენილ პროგრამაში აღწერილია, სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი, რომელსაც პროგრამა, მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს მუზეუმებში. წარმოდგენილ ბიუჯეტში არ არის მოცემული პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი წყაროები და პროგრამის განხორციელებისთვის (პრაქტიკა, გასვლითი ლექცია) საჭირო წყაროები და მართვის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ თვითშეფასების დოკუმენტი; ❖ უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ❖ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც თვალსაჩინოს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის შესაძლებლობას და სამეცნიერო ნაწილის ხელშეწყობის კომპონენტებს. ❖ რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი პრაქტიკული ნაწილისა და მუზეუმებში პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია, სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა პროგრამის განვითარების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი საფაკულტეტო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების დაკვირვებას, მონაცემთა ანალიზს და შედეგების საფუძველზე შემდგომი აქტივობების დაგეგმვას. ამ თვალსაზრისით ინსტიტუციას შემუშავებული აქვს ცალკეული მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებული იყო: i. თსსა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია; ii. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა; iii. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი; iv. პერსონალის მართვის პოლიტიკა; v. პროგრამების მიხედვით პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია; vi. გამოკითხვების ფორმები;

vii. დაცვის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

viii. მისაღები გამოცდის ფორმატი და კრიტერიუმები;

ix. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც შიდა ასევე გარე)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დეტლურად გაეცნო მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომელთა შინაარსი ერთანობაში აწესრიგებს ადმინისტირირების პროცესებსა და პროცედურებს ინსტიტუციაში, თუმცა სასურველია, რომ მოხდეს მათი გადახედვა ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად, ინსტიტუციის სპეციფიკის განზოგადებულად გააზრება და მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახვა, კერძოდ, საკუთრივ თსსა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მეთოდოლოგიის რამდენიმე მიმართულებას: შემოქმედებითი და აკადემიური თავისუფლება; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულობა; თანამშრომლობა აკადემიის ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციას შორის; დარგის ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება. მოცემული მიმართულებები მეტ-ნაკლებად დაფარულია წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით. უნდა აღნიშნოს, რომ საფუძვლიანი გადახედვა ესაჭიროება ბაზრის კვლევის დოკუმენტს, რომელსაც აკლია რეალური სტატისტიკა (ვაკანსიები, ერთი მხრივ, ათვისებული ადგილები, მეორე მხრივ; დოკუმენტში სუსტადაა მოცემული კონკრეტიკა, შესაბამისად, მონაცემები ზოგადია გარკვეულწილად) და არ არის მკვეთრად განსაზღვრული კვლევის მეთოდოლოგია.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ არსებით მიმართულებად ინსტიტუცია ასახელებს თანამშრომლობას აკადემიის ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციას შორის, რაც ინტერვიუებით დასტურდება, თუმცა ამ მიმართულებით სრულად არ არის გაზიარებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განსაკუთრებით კი განვითარების პროცესი. სასურველია ხარისხის კულტურის აქტუალური თემები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარებულ იქნას ინსტიტუციის ყველა რგოლსა და აკადემიურ წრეებში.

ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელსაც იცავს სამსახური, რაც დადასტურდა კიდეც სამსახურის მიერ წარმოდგენილი ყველა ტიპის კითხვარების ფორმებით, სადაც მოცემული თემები ნამდვილად ფარავს ხარისხის უზრუნველყოფის ფაქტობრივად ყველა თემატიკას. თვითშეფასების ანგარიშის დანართებში მართლია წარმოდგენილია კითხვარების ფორმები, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო გამოკითხვების ანალიზის განზოგადებული შედეგები, რამაც მიუხედავად ინტერვიუებისა, ვერ შექმნა სრული წარმოდგენა კვლევის შედეგებზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სწავლის შედეგების შეფასების სისტემისა და მექანიზმების მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც მომზადებულია ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა დოკუმენტის აქტიური იმპლემენტაცია სრულყოფილად არ ხდება კურიკულუმის მთლიან პაკეტში (როგორც სასწავლო კურსების ცალკეულ სილაბუსებში, ისე რუკებში). ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია კორექტურა პროგრამის სრულ პაკეტში. პროგრამის პორთფოლიოს ხარვეზული წარმოება ხელს უშლის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზის სრულფასოვან წარმოდგენას, რაც ფაქტობრივად სწორედ თვითშეფასების ანგარიშში ისეთი

მნიშვნელოვანი, მოცულობითი და საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებითი სტანდარტის ანალიზში დაფიქსირდა, როგორიცაა სტანდარტი N2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას გეგმავს ციკლის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია პროგრამის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიში, რომელსაც მას ანგარიშვალდებულს ხდის ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად აკადემიაში მოქმედებს ასევე შიდა შეფასების შემდეგი მექანიზმები: პროგრამების შეფასება, სილაბუსების შეფასება და სპეციალური კითხვარების მეშვეობით პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იყო ხელმისაწვდომი მსგავსი ანალიზური მასალა. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სივრცეში კონკრეტული პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება, პროგრამაში ჩართული პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობას უნდა ჰქონდეს პერმანენტული/უწყვეტი ხასიათი. ცვლილებათა მიდევნება შესაძლებელია როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირებთან აქტიური თანამშრომლობით, ერთ მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივი გადამზადებით ხარისხის უზრუნველყოფის თემებზე. უკანასკნელ პერიოდში, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ვითარდება ისეთი საგანანათლებლო პროგრამები, რაც ქართულ რეალობაში ახალია, პროგრამის განმახორციელებელთა მხრიდან, უკვე არსებით მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ ანალოგი პროგრამების მოძიება, არამედ მათი ანალიზი საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლთა მიერ წარმოდგენილია, მხოლოდ ანალოგიური პროგრამის მისამართები უცხოური უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე. თუმცა ანალოგიური პროგრამების შეპირისპირებითი ანალიზი იმ თვალსაზრისითაც იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ პროგრამის განმახორციელებლებს კონცეპტუალურად შეექმნათ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ თსსა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია; ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმები; ❖ ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები; ❖ ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ❖ აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;

- ❖ გადაიხედოს და შეივსოს ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, რათა საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის პორთფოლიოების მომზადება მოხდეს აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად;
- ❖ მომზადდეს ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ დარგობრივი პოზიციების სხვადასხვა მიმართულებით ათვისების მიზნით.

რჩევები პრორამის განვითარებისთვის

- ❖ სასურველია შიდა ხარისხის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევისათვის შემუშავებული კითხვარების შედეგების ანალიზი წარმოდგენილი იყოს ანგარიშის დოკუმენტში ან დანართის სახით;
- ❖ სასურველია ბაზრის კვლევის ანალიზი მომზადდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამისათვის ბაზრის მოთხოვნებისა და დასაქმების სტატისტიკის მონაცემების გათვალისწინებით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია ხარისხის გარე შეფასება, რაც რამდენიმე მიმართულებითაა შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის:

- ❖ შეფასება, რომელიც ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის ან აკრედიტაციის პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 9 ააგვისტოს №333 გადაწყვეტილებით, რომლის შემდგომ პროგრამა დაექვემდებარა მოდიფიცირებას, რაც ემყარებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის პროცესში შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. პროგრამის განმახორციელებლებს გათვალისწინებული აქვს თითქმის ყველა შეთავაზებული რჩევა. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას 2016 წლამდე არ ჰყავდა სტუდენტი, შესაბამისად, კურიკულუმს მინიმალური ცვლილება შეეხო, კერძოდ, შეიცვალა სასწავლო გეგმის ცალკეული დეტალები სასწავლო კურსების სტატუსის (სამუზეუმო მარკეტინგი -

სტატუსი: სავალდებულო) თვალსაზრისით. სასწავლო გეგმაში დაემატა ცალკეული დარგის კომპეტენციის მიმცემი საგნები (სამუზეუმო ფასეულობების აღრიცხვა-დაცვა; მუზეუმების დაგეგმარება, არქიტექტურა და სამუზეუმო ტექნიკები; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში); ❖ შეფასება, რომელიც ხორციელდება კოლეგიალურად დარგის ექსპერტების ან აკადემიური წრეების მხრიდან. შეფასებას ახორციელებს როგორც ქართველი, ისე უცხოელი დარგისა თუ განათლების ექსპერტები. წარმოდგენილი პროგრამის სიღრმისეული გარე შეფასება არ განახორციელებულა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში; ❖ გარკვეულწილად გარე შეფასების პრიზმაში განიხილება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, რომლის შედეგები, რაც პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა წარმოადგინეს, არის არამკმარი. პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან ეფექტურ გარე შეფასების ვარიანტად წარმოუდგენიათ საერთაშორისო დარგობრივი შეხვედრები, ვორკშოფები და სემინარები, თუმცა ამ ტიპის შეხვედრები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებასა და ამ მიმართულებით საუკეთესო გამოცდილების გაცნობას. რაც შეეხება პროგრამის გარე შეფასების პროცესი უმჯობესია განხორციელდეს კონკრეტული მეთოდოლოგიისა და სათანადო პროცედურების ფარგლებში დარგს ექსპერტების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ საგანმანათლებლო პროგრამა; ❖ თსსა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია; ❖ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 09/08/2012 N333 სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება; ❖ ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები; ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმები; ❖ ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტირება, პროგრამის მონაწილე და მისი განხორციელებით დაინტერესებულ პირთა ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენი საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო ბაზარზე არა აქვს ხანგრძლივი ისტორია, თუმცა მისი აქიტური არსებობის მოკლე პერიოდში მან გაიარა კონკრეტული ცვლილებები, რომელიც მეტწილად უფრო დარგობრივია, თუმცა ისინი გარკვეულწილად დაექვემდებარა საკანომდებლო ცვლილებებსაც. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული სიახლეები სამუშაო პროცესში და გარკვეული მეთოდოლოგიით დაკვირვებისა და შეფასების ობიექტი უნდა გახდეს, რომლის საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები განსაზღვრავენ კურიკულუმის ცვლილებების მიზეზებს, მათ მიზანმიმართლობასა და რეალურ აუცილებლობას. წინამდებარე ცვლილებები უნდა გახდეს ობიექტური დაკვირვების, დეტალური ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის საფუძველი. ხარისხის სამსახურის მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ არ იკითხება მონიტორინგის მეთოდოლოგია, რაც სასურველია მომზადდეს, რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება განხორციელდეს დარგის ექსპერტთა მაღალი ჩართულობით და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. მონიტორინგის განმავითარებელი შეფასების გადამუშავებამ კი ხელი უნდა შეუწყოს პროგრამის განვითარებას, საერთაშორისო სტანდარტთან მიმართებით, ინტერნაციონალიზაცას და სტუდენტთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შრომის ბაზარზე. მონიტორინგის პროცესი, თავის მხრივ, გულისხმობს განმავითარებელ შეფასებას, რაც გარკვეულწილად შიდა ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობაა. პროცესის შედეგები წარედგინება პროგრამის კომიტეტს, რომელიც მასალების გაცნობის შემდგომ გეგმავს ქმედით ღონისძიებებს პროგრამის კორექციისა და განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები; ❖ თსსა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია; ❖ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ❖ ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები; ❖ ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ❖ რეკომენდებულია შემუშავდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია და გაწერილი პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანმიმართულად განვითარების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: მაგისტრატურა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ქიმერიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელი, გვარი, ხელმოწერა
სალომე ცისკარიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქეთევან ოჩხიკიძე - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი